ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 460

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 07 დეკემბერი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს,. რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB03301002001165022 – (შემდგომში - ,,შემსყიდველი")

და მეორე მხრივ: ქართული ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემოქმედებითი ცენტრი „სამა", რომლის რეკვიზიტებია: ს/კ 402022075 , მისამართი: ქ. თბილისი გორის ქ. N 28 .მომსახ. ბანკი - ს.ს.,, ვი თი ბი ბანკი" ა/ა GE26VT0900000001923602 შემდგომში - ,,მიმწოდებელი"

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV – 92300000/92312130 ანსამბლ „არაგველები"–ს 11 დეკემბერს აზერბაიჯანში „აზერბაიჯანის თასი" „KUBOK AZERBAIJANA"-ს ფინალში მონაწილეობის უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შესადგენს: 4700 (ოთხიათას შვიდასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია გასაწევი მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად აუნაზღაუროს მას მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.
5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი ,,შესრულების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური.

8. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში წინასწარ სახელშეკრულებო თანხის 90 %-ის (ოთხმოცდაათი) ოდენობით. დანარჩენი 10% "შესრულების" აქტის გაფორმების შემდეგ 10 საბანკო დღის განმავლობაში.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია ღონისძიების დამთავრებისთანავე წარმოადგინოს გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა – 2017 წლის 16 იანვარი.
18.2. ხელშეკრულების მიწოდების ვადაა – 2016 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.
18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ. ჩოხელი/

მიმწოდებელი:

ქართული ფოლკლორის განვითარების
და საერთაშორისო ურთიერთობათა
შემოქმედებითი ცენტრი „სამა“–ს
ხელმძღვანელი ალექსანდრე წერეთელი /ა. წერეთელი/

^იურისტი:

„სამა„ ქართული ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემოქმედებითი ცენტრი

№_____ ____

განცხადების № 27

მოწვევა – დებულება

ქართული ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემოქმედებითი ცენტრი "სამა"-ს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცეკვის ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე ამა წლის 26 ნოემბერს ფასანაურის ანსამბლი "არაგველები" მარიამ პირველის ხელმძღვანელობით მიწვეული იყო აზერბაიჯანის ქ. ბაქოს ფესტივალ კონკურსში "BAQO OPEN" ს შესარჩევ ტურში, სადაც ანსამბლმა "არაგველებმა" აიღო გრანპრი და ავტომატურად მიწვეული იქნა ფინალში "აზერბაიჯანის თასი" "KUBOK AZERBAIJANA"

გასვლა 9 დეკემბერს 00:00 საათზე, განთავსება 4*სასტუმროში სამჯერადი კვებით ფესტივალ კონკურსი "KUBOK AZERBAIJANA" 11 დეკემბერს. 12 დეკემბერს 12:00 საათზე გამოსვლა სასტუმროდან 2ღამე 3 დღე ფასი ერთ მონაწილეზე 125 დოლარი (ასოცდახუთი დოლარის) ექვივალენტი ლარში. რაოდენობა 15 ბავშვი სულ 1875 დოლარი (სრული თანხა ათას რვაას სამოცდა თხუთმეტის) დოლარი ექვუ ვალენტის ლარში.

ქართული ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემოქმედებითი ცენტრი "სამა" ანგარიშის ნომერი GE26VT0900000001923602

ა. წერეთელი

თარიღი 05.12.2016წ

Tel: 599 710-388 ა.წერეთელი 555 410-306 ჯ.ჭელიძე
E-mail: jilda89@yahoo.com